საქართველოს მთავრობის

დადგენილება №224

2021 წლის 18 მაისი

ქ. თბილისი

„საბურავების ნარჩენების მართვის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 მაისის №325 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საბურავების ნარჩენების მართვის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 მაისის №325 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 27/05/2020, 340170000.10.003.022038) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. დადგენილების მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-13 მუხლის პირველი პუნქტი ამოქმედდეს 2022 წლის 1 ივლისიდან.“.

2. დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის –„საბურავების ნარჩენების მართვის შესახებ“ (შემდგომში – ტექნიკური რეგლამენტი) მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. 2022 წლის 1 ივნისამდე საბურავების ყველა მწარმოებელი ვალდებულია, გაიაროს რეგისტრაცია მგვ-ის რეესტრში და შეიტანოს შემდეგი ინფორმაცია:“.

3. ტექნიკური რეგლამენტის დანართი I ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი I

ბაზარზე განთავსებული საბურავების აღდგენისა და რეციკლირების მიზნობრივი მაჩვენებლები წლების მიხედვით

	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032
აღდგენა	20%	25%	30%	35%	40%	45%	50%	55%	60%	65%
ენერგიის აღდგენა	10%	12%	15%	18%	20%	23%	25%	27%	30%	32%
რეციკლირება პროტექტორის აღდგენა	10%	13%	15%	17%	20%	22%	25%	28%	30%	33%

.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.